<u>დამტკიცებულია უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ</u>
<u>2015 წლის 16 ივნისს N7 სხდომაზე</u>

სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში კვალიფიკაციის მინიჭების წესი

1. ეს წესი რეგულირდება ,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით, სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდებით, უნივერსიტეტში მოქმედი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტით, მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტით, სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულებითა და სხვა კანონქვემდებარე აქტებით.
2. ეს წესი განსაზღვრავს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში პროფესიული და აკადემიური (დიპლომირებული სპეციალისტის, ბაკალავრის, მაგისტრის, დოქტორის) ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების წესსა და პროცედურას.
3. პროფესიული და აკადემიური ხარისხის/კვალიფიკაციის მიმნიჭებელი უფლებმოსილი ორგანოა ფაკულტეტის/სკოლის საბჭო, ხოლო დოქტორის აკადემიური ხარისხის მიმნიჭებელი ორგანოა საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭო.
4. ფაკულტეტი/სკოლა ადგენს იმ პირთა სიას, რომელთაც შეასრულეს შესაბამისი პროგრამით გათვალისწინებული მოთხოვნები, რომელიც წარედგინება შესაბამისი ფაკულტეტის/სკოლის საბჭოს აკადემიური/პროფესიული კვალიფიკაციის/ხარისხის მისანიჭების მიზნით.
5. წარდგინებაში მითითებულია სტუდენტის სახელი და გვარი, პირადი ნომერი ან/და დაბადების თარიღი, მისანიჭებელი კვალიფიკაცია/ხარისხი, აკადემიურ/პროფესიული პროგრამის დასახელება და სხვა მაინდენტიფიცირებელი ინფორმაცია.
6. ფაკულტეტის/სკოლის საბჭო იღებს გადაწყვეტილებას პირისათვის კვალიფიკაციის/ხარისხის მინიჭების შესახებ, რომელიც ფორმდება ფაკულტეტის/სკოლის საბჭოს სხდომის გადაწყვეტილებით. ოქმის ამონაწერი და რექტორის მიერ 2011 წლის 13 დეკემბრის N03-1156 ბრძანებით დამტკიცებული საინფორმაციო ბარათების შევსებული ფორმები შესაბამისი დიპლომის გაცემის მიზნით არაუგვიანეს სამი კვირისა ეგზავნება უნივერსიტეტის რექტორს.

7. დოქტორანტს აკადემიური ხარისხი ენიჭება საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით. საბჭოს გადაწყვეტილება და რექტორის მიერ 2011 წლის 13 დეკემბრის N03-1156 ბრძანებით დამტკიცებული საინფორმაციო ბარათის შევსებული ფორმა შესაბამისი ფაკულტეტის/სკოლის წარდგინებით დოქტორის დიპლომის გაცემის მიზნით არაუგვიანეს სამი კვირისა ეგზავნება უნივერსიტეტის რექტორს.